უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 20 0000966074

08/10/2020

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 86-ე მუხლის პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 404535810) მიენიჭოს უფლებამოსილება დაიმატოს და განახორციელოს "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამისდასახელება	სწავლებისენა	მისანიჭებელიკვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	განხორციელებისადგილი	საფეხური	ECTS
1.	„ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი 0413	ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. 9, თბილისი, ს/ი 0105, საქართველო	მაგისტრატურა	120

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 08 ოქტომბრის N965919 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლისხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ